

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31812	7076	166541
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1916755	1075914	694728
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	51878	34245	48152
მარაგები	892680	784985	509184
მზა პროდუქცია	175803	214097	102858
სხვა	716877	570888	406326
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27062	1268	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	13247	5915	267
ძირითადი საშუალებები	4211840	202633	121514
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	618356	0	0
სულ აქტივები	7763630	2112036	1540386
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	454261	495407
სავაჭრო ვალდებულებები	687573	750813	546556
ანარიცხები	254777	304517	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	67475	21463	32686
საგადასახადო ვალდებულებები	12396	0	16503
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1369464	30124	4483
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4054020	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	95376	4050	2011
სულ ვალდებულებები	6541081	1565228	1097646
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1157695	515416	411348
გადაფასების რეზერვი	64854	31392	31392
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1222549	546808	442740
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7763630	2112036	1540386
სულ მოკლევადიანი აქტივები	2027507	1118503	909421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	6541081	1565228	1097646



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/202 31/12/2020

ნეტო ამონაგები	6076763	4392340
საქონლის გაყიდვიდან	5896580	4276229
მომსახურების გაწევიდან	168159	99584
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	12024	16527
გაყიდვების თვითღირებულება	-4400338	-3062101
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1676425	1330239
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-508323	-434762
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-56323	-31812
საპროცენტო შემოსავალი	796	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-200424	-203390
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-728395	-660522
სულ საოპერაციო ხარჯები	-1492669	-1330486
საოპერაციო მოგება	183756	-247

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-77153	37428
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	624483	99856
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	731086	137037
მოგების გადასახადის ხარჯი	-88807	-32969
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	642279	104068

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
---	---	---

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	642279	104068

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	546808	442740
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	33462	





ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2021 31/12/2020

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4747381	-201116
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4775924	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	28543	-201116
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-3807	41651
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7076	166541
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	31812	7076



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „ქართული ლიმონათი“ ს/კ 405256663 (შემდგომში კომპანია) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი.მ. ალექსიძის ქ. 1 კვ. კორპ. 4.ბ.25. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეა უალკოჰოლო, არომატიზირებული გაზიანი სასმელების წარმოება. კომპანიის დამატებითი საქმიანობის სახეა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა. შპს „ქართული ლიმონათი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2018 წლის 2 მარტიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად კომპანია რეგისტრირებულია 2018 წლის 2 მარტიდან. კომპანიის დირექტორი - გიორგი ასპანიძე.

შპს „ქართული ლიმონათის“ მიერ წარმოდგენილი 2021 წლის სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს-ების“) შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით -საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენების ფინანსური შედეგები.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის შემოსავლის, ფულადი ნაკადების და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით და რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

მომზადების საფუძველები:

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

საადრიცხვო პოლიტიკა:

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს) ამასთან ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგება და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისთვის მიკუთვნებით.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა ლარი, რომელიც ასახვს ძირითდ მოვლენებსა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას-ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება შემოსავლების ანგარიშგებაში.

კერძოდ

	USD	EUR	RUR
12/31/2021	3.0976	3.504	0.0415

ამონაგების აღიარება:

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები მცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, აგრეთვე სისტემატიურად გასანაწილებელი მუდმივი და ცვლადი ზედნაღები ხარჯები, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების შუა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

დებიტორების თანხების ჩარიცხვები ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, სავაჭრო მოთხოვნების არარსებობის გამო არ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც არ არის პროცენტის მატარებელი. უცხოურ ვალუტაში გამხორვიელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულებში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისთვის თანდართული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით. ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატიურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშის მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები.

შენობა-ნაგებობები 30-40 წელი;

მანქანა -დანადგარები 10-30 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა -5- 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი 5- 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები 1- 10 წელი.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა -ხელშეკრულებით

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მ.შ. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს,

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/ კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ -შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია. გამოცდილების საფუძველზე ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში კომპანიის მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები

ანარიცხები

კომპანია ახალიცხვის აღიარების ძიოლოდ იმ ემთხვევათი, როდესაც:

- საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

კომპანია ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მის ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში. 2020-ში და 2021-ში კომპანიაში შეიქმნა ანარიცხები, ბრუნვები ასე გამოიყურება:

კრედიტორული დავალიანების ანარიცხები. (ლარი)

ნაშთი	გადახდა	დარიცხვა	ნაშთი
304517	77710	23681	250488

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

კომპანია არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

საქმიანობის შედეგები:

ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება :

	12/31/2021	12/31/2020
საქონლის გაყიდვიდან:		
ადგილობრივი ვაყიდვები:	2657955	2331826
ექსპორტი:	3238625	1944403
ჯამი:	5896580	4276229
მომსახურების გაწვიდან:	168159	99584
სხვა შემოსავლები:		
შემოსავლები იჯარიდან	7204	16527
შემოსავლები ტრანსპორტირებიდან:	4820	

ჯამი:	12024	16527
-------	-------	-------

სულ ნეტო ამონაგები:	6076763	4392340
---------------------	---------	---------

სხვა არასოპერაციო შემოსავალი:

არასოპერაციო შემოსავალი:	512046	34249
კვება და სპეც. ტანსაცმელი:	17759	15523
ინვენტარიზაცია და ლეწი:	72733	19243
შემოსავლები კოვიდ19-ს შედეგით	21944	30841
სულ სხვა არასოპერაციო შემოსავალი:	624483	99856

საპროცენტო შემოსავლები	796	0
------------------------	-----	---

ხარჯების მუხლები:

გაყიდული/შეძენილი საქონელი	-4400338	-3062101
დასაქმებულთა ანაზღაურება	-508323	-434762
იჯარა	-200424	-203390
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-56323	-31812

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მ.შ:

საწვავი	-41308	-27489
მარკეტინგული მომს-ბა	-138645	-39260
საოფისე ხარჯები	-1320	-4235
მივლინება	-90	-2382
კომუნალური მომს-ბა	-20101	-11311
საკომუნიკაციო მომს-ბა და ინტერნეტი	-14881	-13122
საპენსიო ხარჯები	-10938	-7085
საკონსულტაციო და იურიდიული მომს-ბა	-2733	-12014
რემონტის ხარჯები	-108454	-982
თანამშრომლების ავტომობილის იჯარა	-2300	-3753
დასუფთავების ხარჯი	-14433	-14433
სხვა საგადასახადო ხარჯი	-14017	-1621
სხვა კომპანიების ჩამოსხმისთვის გაწეული ხარჯები	-76000	-27032
თანამშრომლების კვება	-10737	-10628
სატრანსპორტო ხარჯები	-1514	-10004
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-74939	-23264
პროგრამული უზრუნველყოფა	-2400	-2400
კრედიტორული დავალიანების ანარიცხები	-23681	-374517
სხვადასხვა ხარჯები	-59287	-63651
არასოპერაციო ხარჯები	-93277	-9512
საბანკო ხარჯები	-17340	-1827

სულ

ადმინისტრაციულ

ი და სხვა

საოპერაციო	-728395	-660522
------------	---------	---------

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დანართები და ახსნა-განმარტებები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

დასახელება	საბოლოო ნაშთი	ვალუტა	კურსი 31.12.202 1	ნაშთი ლარში
სალარო:				
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში:	2,965.34	ლარი		2965.34
საბანკო ანგარიშები:				
ლარი- ბანკი „ქართუ“	22608.06	ლარი		22608.06
ლარი- თიბისი ბანკი	5171.8	ლარი		5171.8
დოლარი- ბანკი „ქართუ“	0.37	დოლარი	3.0976	1.15
დოლარი- თიბისი ბანკი	330	დოლარი	3.0976	1022.21
ევრო - ბანკი „ქართუ“	10.45	ევრო	3.504	36.62
რუბლი - ბანკი „ქართუ“	110.99	რუბლი	0.0415	4.61
საბარათო ანგარიში:				
დოლარი- ბანკი „ქართუ“	0.90	დოლარი	3.2766	2.4
ჯამი:				31812.18

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2021	12/31/2020
დებიტორული დავალიანება ადგილობრივ	614304	523509
დებიტორული დავალიანება ექსპორტზე	483591	493951
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	818860	58454
ჯამი	1916755	1,075,914

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

დასახელება	ისტორიულ ღირებულება	აქტივის შეძენა	დაგროვი ლი ცვეთა	2021 წლის ცვეთა	სულ ცვეთა	(აფასებ ა) ჩამოფა სება	აქტივის გასვლა	საბოლოო ღირ-ბა
მიწის ნაკვეთები	0	1673616	0	0	0	-62500	0	1611116
შენობები	0	1107100	0	0	0	-44685	0	1062415
მანქანა- დანადგარები	130980	1145792	9691	15283	24974	0	3280	1248518

კომპიუტერული მოწყობილობები	0	1600	0	196	196	0	0	1404
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3698	1271	658	873	1531	0	0	3438
სატრანსპორტი საშუალებები	9448	133501	1253	1068	2321	140647	0	281275
ლაბორატორიის აღჭურვილობა	0	203	0	48	48	0	0	155
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	32820	44553	0	0	0	0	77373	0
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	77970	76746	40681	38854	79535	0	71663	3519
ჯამი:	254916	4184383	52284	56323	108606	33462	152316	4211840

არამატერიალური აქტივები

დასახელება	ისტორიული ღირებულება	აქტივის შეძენა	დაგროვი ლი ცვეთა	2021 წლის ცვეთა	სულ ცვეთა	აქტივის გასვლა	ნარჩენი 31.12.2021
არამატერიალური აქტივი	5915	7332					13247

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება:

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12/31/2021	12/31/2020
დავალიანება ადგილობრივ მომწოდებლებთან	-640953	-663488
დავალიანება უცხოელ მომწოდებლებთან	-14139	-43530
მიღებული ავანსი		-37295
სხვა	-32481	-6500
ჯამი	-687573	-750813

შენიშვნა 1

დივიდენდი

კომპანიას მიმდინარე პერიოდში დივიდენდი არ გაუცია.

შპს „ქართული ლიმონათის“ მთ. ბუღალტერი:

ქ.ქავთარია/

